ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის N14 ოლქის მაჟორიტარი წევრის ქეთევან მამულაშვილის ანგარიში 2020 წლის (ნოემბერი) 2021 (სექტემბერი) გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქეთევან მამულაშვილი - საკრებულოს წევრი, სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს ფრაქცია ,,კონსერვატორები და დამოუკიდებელი წევრის“ წევრი, საკრებულოს იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი, გენდერული საბჭოს წევრი.

სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრის საქმიანობა საკრებულოში

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 22 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 111 დადგენილება და 547 განკარგულება. აქედან ქეტევან მამულაშვილი დაესწრო 9 სხდომას.

ინფორმაცია ქეთევან მამულაშვილის ფრაქციაში ,,კონსერვატორები და დამოუკიდებელი წევრი“ გაწეული საქმიანობის შესახებ

,,კონსერვატორები და დამოუკიდებელი წევრი“ შემადგენლობაში შედის საკრებულოს 3 წევრი. ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები და ჯერდება პოზიციები. ფრაქცია ,,კონსერვატორები და დამოუკიდებელი წევრი''-ს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 11 სხდომა, საკითხთა რაოდენობამ შეადგინა 17.

განხილულ იქნა შემდეგი საკითხები როგორიცაა:

1. ქ.თბილისის 2021 წლის ბიუჯეტი.

2. თბილისში, ნუცუბიძისა და ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის ზემოთ, მთის ფერდზე გაჩენილი მეწყრული ბზარები.
3. დედაქალაქში გარე რეკლამის სფეროს რეგულირების საკითხი.
4. თვითმმართველობაში არსებული საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები.
5. თბილისში, ნუცუბიძისა და ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის ზემოთ, მთის ფერდზე გაჩენილ მეწყრულ ბზარებზე მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.
6. დედაქალაქის ბიუჯეტში მიმდინარე წელს შემავალი ცვლილებები.
7. გარე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული აუქციონი.

ინფორმაცია კომისიებში მუშაობის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრი ქეთევან მამულაშვილი ჩართულია იურიდიულ საკითხთა კომისიაში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 23 კომისიის სხდომა, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული მაჟორიტარი და დაესწრო 8 კომისიის სხდომას. შეისწავლა 168 საკითხი.

მაჟორიტარი წევრისა და მისი წარმომადგენლობის ერთობრივად გაწეული საქმიანობის შესახებ

აღნიშნულ დოკუმენტში განხილული იქნება რაიონულ გამგეობებთან, ქ.თბილისის მერიასთან, და ასევე კერძო სექტორთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად გაწეული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განხორციელებული ღონისძიებები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15 მუხლის შესაბამისად,მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკრებულოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შექმნილი წარმომადგენლობა, კვლავაც აგრძელებს ყოველდღიურ ნაყოფიერ მუშაობას.

სამგორის N14 ოლქის საზღვრებში შედის მთლიანად მოსკოვის გამზირი, ქვემო სამგორისა და აფრიკის დასახლება და მათი მიმდებარე ქუჩები, რაც ფიზიკურად მოიცავს საკმაოდ დიდ ტერიტორიას.

წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩეველთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში მაჟორიტარი წევრის მუდმივი ინფორმირება და მასში მაჟორიტარის მონაწილეობის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა.

წარმომადგენლობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს მოქალაქეთა მიღებას წარმომადგენლობის ოფისში, ასევე გეგმავს საჯარო შეხვედრებს, აწარმოებს მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების, საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას და შესწავლას, აკეთებს შესული წერილებისა და განცხადებების ანალიზს და ახდენს მათზე რეაგირებას. უზრუნველყოფს მაჟორიტარის, როგორც საკრებულოს წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან, კერძო ან საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ასევე მედია საშუალებებთან ურთიერთობას.
წარმომადგენლობა ეხმარება საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში. მოქალაქეებთან კომუნიკაციასა და კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში.
წარმომადგენლობა მზადაა, შეასრულოს ნებისმიერი კანონით ნებადართული ფუნქცია, რათა ხელი შეუწყოს მაჟორიტარი წევრის ეფექტიან და ნაყოფიერ მუშაობას.

წარმომადგენლობა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ

მიღებული შესაბამის სამართლებრივი აქტების საფუძველზე. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმართველობის განმახორციელებელ ორგანოებთან: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიებთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან, მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს სამგორის რაიონის გამგეობასთან და მისი სტრუქტურული ერთეულის -ქვემო სამგორის საუბნო განყოფილებასთან

წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ასევე შემდეგი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებსა და კომპანიებთან, კერძოდ:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო;
- სოციალური მომსახურების სააგენტო;
- შპს ,,ყაზტრანსგაზი“ / თელმიკო;
- სს. ,,თელასი“/ თბილისი ენერჯი;
- კომპანია ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი (GWP) ;
- ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები.

წარმომადგენლობას მჭიდრო კომუნიკაცია აქვს ასევე, საქართველოს პარლამენტის სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან.

წარმომადგენლობა ფუნქციონირებს ყოველ სამუშაო დღეს დილის 9:00სთ-დან 18:00სთ-მდე. ოფისში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად. კვირის ერთი სამუშაო დღე, კერძოდ ოთხშაბათი - გამოყოფილია მაჟორიტარ დეპუტატთან მოქალაქეთა მიღებისათვის. შესაბამისად 2020 წლის ნოემბრიდან დღემდე მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა შევხვდით დაახლოებით 200-მდე ადამიანს და მოვახერხეთ 10-მდე შეხვედრის ორგანიზება.

შეხვედრებისას წარმოჩენილი პრობლემატიკა არის სხვადასხვა სახის. კერძოდ სოციალური, ჯანდაცვის, ურბანული და ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი,

კულტურულ-საგანმანათლებლო. ყოველ კონკრეტულ საკითხს წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად განვიხილავთ დამოუკიდებლად და ასევე საერთო ჭრილში. საკრებულოს წევრის კომპეტენციის ფარგლებში ყველა მოქალაქეს, პრობლემის მიხედვით გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია, როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი ფორმით შუამდგომლობის სახით.

ოლქის მაცხოვრებლებთან აქტიური შეხვედრები წარმომადგენლობის მთლიან გუნდს გვაძლევს საშუალებას ვიცოდეთ რეალური პრობლემები, ხელი შევუწყოთ მათზე დროულ რეაგირებას და ნაყოფიერად ვიმუშაოთ ქალაქისათვის და კონკრეტულად ჩვენი სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემების გადაჭრისათვის.

სამწუხაროდ ქვეყანაში შექმნილი გარემოებებიდან, რომელიც უკავშირდება "COVID – 19"-ით გამოწვეულ პანდემიას, ისევე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო უწყებები და სტრუქტურები, წარმომადგენლობაც შესაბამისად გადასული იყო დისტანციურ მართვის რეჟიმზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში სულ მოხერხდა ასეთი 7-მდე გასვლითი შეხვედრის ორგანიზება, რის შედეგადაც შევხვდით დაახლოებით 100-მდე ადამიანს. დრო დავუთმეთ მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დათვალიერებას. ყოველ ასეთ შეხვედრაზე მაჟორიტარი წევრი და ასევე წარმომადგენლობის თითოეული თანამშრომელი მოსახლეობის ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დასრულებული პროექტების, სტადიონი იქნება ეს, სკვერი, ფანჩატური თუ ტრენაჟორები მათი შენარჩუნება, მოვლა-პატრონობა და თაობებისათვის უვნებლად გადაცემა. აღვნიშნავთ, თუ რამხელა ძალისხმევა, შრომა და ფულადი რესურსებია დახარჯული ამ პროექტებისათვის.

მიმდინარე წელს ქალაქ თბილისის საკრებულოსთან ერთად, წარმომადგენლობა აქტიურად იყო ჩართული ''COVID – 19"-ით გამოწვეულ პანდემიასთან დახმარების კამპანიაში.დისტანციურ რეჟიმში იყო გადასული ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლები და მაქსიმალურად ჩართული მოსახლეობის პრობლემების აღმოფხვრაში. ასევე მუდმივ კავშირსა და კომუნიკაციაში სამგორის რაიონის გამგეობასთან. მოგეხსენებათ, მიმდინარე წელი უჩვეულოდ დაიწყო. მიუხედავად ყველა სირთულისა, რეგულაციების დაცვით, შევძელით მოსახლეობასთან უწყვეტ

რეჟიმში კომუნიკაცია. გამგეობასა და წარმომადგებლობაში შემოსული განცხადებები მაქსიმალურად დაკმაყოფილდა.

2020 წლის ნოემბრიდან დღემდე წარმომადგენლობაში და საკრებულოში მაჟორიტარი წევრის, ქეთევან მამულაშვილის სახელზე შემოდის განცხადება სხვადასხვა სახის მოთხოვნებით. მათგან უმრავლესობა შეეხება ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, ბევრი მოქალაქე ითხოვს მიწის დაკანონებას, ხშირია მოთხოვნა მიზნობრივ დახმარებებზე, ასევე მედიკამენტოზურ და ოპერაციულ მკურნალობებზე, ასევე მწვავედ დგას დასაქმების პრობლემაც.

სულ 2020 წლის ნოემბრის თვის დასაწყისიდან 2021 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით, სულ გაიცა 26 შუამდგომლობა მოქალაქეების მოთხოვნის საფუძველზე, აქედან:

- მედიკამენტის დაფინანსება - 2
- ფინანსური დახმარება - 17
- სამედიცინო გამოკვლევა, დიაგნოსტიკა/ ოპერაციის ხელშეწყობა - 2
- ისნის რაიონის გამგეობა -1
- თბილისი ენერჯი (ყოფ, ყაზტრანსგაზი)- 1
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური - 1
- ქონების მართვის სააგენტო - 1
- მერიის არქიტექტურის სამსახური - 1

სამგორის N14 ოლქში ჩვენი შუამდგომლობით და სამგორის რაიონის გამგეობასთან და პირადად გამგებელთან ინტენსიური სიტყვიერი თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

სამგორის რაიონის ინფრასტრუქტურული პროექტები

საგზაო სამუშაოები განხორციელდა,მიმდინარეობს და დაგეგმილია.

- ჭიჭინაძის 17
- დათო ყიფიანის ქუჩა და შესახვევი

- ოცხელების ქ. კორპ. N30-32
- ბ. ხმელნიცკის ქ. კორპ. N2
- ემირ ბურჯანაძის ქუჩა N57 -თან არსებული სკვერის მიმდებარედ (ორმოული)
- ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N16ვ-თან არსებული სტადიონის მიმდებარედ (ორმოული) - მიმდინარეობს სამუშაოები.
- საჯაიას ქუჩა და ჩიხები -მიმდინარეობს სამუშაოები.
- ქინძმარაულის I ჩიხი - -მიმდინარეობს სამუშაოები.
- ქინძმარაულის შესახვევი კორპ. N6ა - დაგეგმილია სამუშაოების განხორციელება მერიის მიერ.
- ქინძმარაულის შესახვევი კორპ. N11 - დაგეგმილია სამუშაოების განხორციელება მერიის მიერ.
- ქინძმარაულის შესახვევი კორპ. N30 - დაგეგმილია სამუშაოების განხორციელება მერიის მიერ.
- ქინძმარაულის შესახვევი კორპ. N15-16-17-18 - დაგეგმილია სამუშაოების განხორციელება მერიის მიერ.

სანიღვრე ქსელი მოწესრიგდა და საკანალიზაციო ქსელი მოეწყო

- გ. ლორთქიფანიძის ქუჩა კორპუსი №22 - სანიაღვრე ქსელი მოწესრიგდა.
- წმინდა ბარბარეს უბანი, სახლი N212-დან მოედნამდე - საკანალიზაციო ქსელი მოეწყო.

მოაჯირი მოეწყო

- ნაკადულის ქ. N2ა-ს მიმდებარედ

სკვერი მოეწყო

- გუმათჰესის ქუჩა კორპუსი 10-ის მიმდებარედ.
- ემირ ბურჯანაძის ქუჩა №57-ის მიმდებარედ.
- ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N16 ვ კორპუსის მიმდებარედ.
- ბ. ჭიჭინაძის ქ №27-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

- გუმათჰესის ქუჩასა და ცისკარიშვილის ქუჩას შორის სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.
- მოსკოვის გამზირი, V კვ, კორპ.№4-ის მიმდებარედ - მიმდინარეობს სამუშაოები.
- გარდაბნის გზატკეცილი, ბურჯანაძის N6-ის მიმდებარედ - მიმდინარეობს სამუშაოები.
- ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N1-ს მიმდებარედ - მიმდინარეობს სამუშაოები.

მოსასვენებელი სკამები დაიდგა

- ბოგდან ხმელნიცკის მე-3 შესახვევი, კორპ N2-ის მიმდებარედ.
- ბოგდან ხმელნიცკის მე- შესახვევი, კორპ N3-ისდა N4-ის მიმდებარედ.
- გუმათჰესის ქუჩა N12-ის მიმდებარედ.
- გუმათჰესის ქუჩა N2ა-ის მიმდებარედ.
- მოსკოვის გამზირი,მე-5 კვარტალი, კორპ N1-ის მიმდებარედ.
- სადგური ველი, კორპ N2-ის მიმდებარედ.
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპ N2-ის მიმდებარედ.
- ცისკარიშვილის ქუჩა კორპ N2ა-ის მიმდებარედ.
- ჭიჭინაძის ქუჩა კორპ N17-ის მიმდებარედ.

სტადიონი მოეწყო

- წმ. ბარბარეს უბანი, ნაკადულის III გასასვლელის მიმდებარედ.
- ემირ ბურჯანაძის ქუჩა №57-ის მიმდებარედ.
- ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N16 ვ კორპუსის მიმდებარედ.
- ბ. ჭიჭინაძის ქ №27-ის სპორტული მოედნის მოწყობა / რეაბილიტაციის სამუშაოები - მიმდინარეობს სამუშაოები.
- ჭიჭინაძის ქუჩა N17- მიმდინარეობს სამუშაოები.
- გარდაბნის გზატკეცილი, ბურჯანაძის N6-ის მიმდებარედ - მიმდინარეობს სამუშაოები.
- ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N1-ს მიმდებარედ --მიმდინარეობს სამუშაოები.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსების წესის შესაბამისად

მოწესრიგდა:

- პოლიციის ქუჩა 13 - წყალსაწრეტი მილები.
- პოლიციის ქუჩა 13 – ქანობიანი სახურავი.
- პოლიციის ქუჩა 13 - შიდა წყალკანალიზაცია.
- მოსკოვის გამზირი, მე-4 კვარტალი, კორპუსი 2 - მოსკოვის გამზირი, მე-4 კვარტალი, კორპუსი 2.
- ბ. ხმელნიცკის მე-4 შესახვევი, კორპუსი 3 –ლიფტის შეკეთება.
- ემირ ბურჯანაძის 49 (ყოფილი გარდაბნის გზატკეცილი) - კარის მონტაჟი.
- ჭიჭინაძის 31 – სართულშუა ნაპრალები.
- ჭიჭინაძის 31 – ქანობიანი სახურავი.
- ბ. ხმელნიცკის 11 – კარის მონტაჟი.
- წმინდა ბარბარეს უბანი 198 – ქანობიანი სახურავი
- წმინდა ბარბარეს უბანი 198- წყალსაწრეტი მილები.
- მოსკოვის გამზირი, კორპუსი 19 – შიდა წყალკანალიზაცია.
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი 1 – შიდა წყალკანალიზაცია.
- გუმათჰესის ქუჩა 2ვ - ბრტყელი სახურავი.
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი 21 – ბრტყელი სახურავი.
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი 21 - ლიფტის შეკეთება.
- ჭიჭინაძის 27- სენსორები.
- ჭიჭინაძის 27 - ლიფტის შეკეთება.
- ოცხელის 25 - ლიფტის შეკეთება.
- წმინდა ბარბარეს უბანი 177 – სადარბაზოს რემონტი.
- წმინდა ბარბარეს უბანი 177 – კარის მონტაჟი.
- ბაბუციძის 27 -სენსორები
- ბაბუციძის 27 - - წყალსაწრეტი მილები.
- ბ. ხმელნიცკის 12 – შიდა წყალკანალიზაცია.
- ჭიჭინაძის 29ი - ბრტყელი სახურავი
- ბ. ხმელნიცკის მე-4 შესახვევი, კორპუსი 3 – შიდა წყალკანალიზაცია.

- გუმათჰესის 22 - შიდა წყალკანალიზაცია.
- გუმათჰესის 22 - წყალსაწრეტი მილები.
- გუმათჰესის 22 - სენსორები.
- გუმათჰესის 22 – ქანობიანი სახურავი.
- ჭიჭინაძის 31 - წყალსაწრეტი მილები.
- ჭიჭინაძის 29ბ - ბრტყელი სახურავი.
- ჭიჭინაძის 29ბ - ლიფტის შეკეთება.
- ჭიჭინაძის 29ბ - ლიფტის შეკეთება.
- მოსკოვის გამზირი 36ბ - სართულშუა ნაპრალები.
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი 13 - ბრტყელი სახურავი.
- მოსკოვის გამზირი 48გ - ბრტყელი სახურავი.
- ჭიჭინაძის 1, კორპუსი 6 – შიდა წყალკანალიზაცია.
- ქინძმარაულის მე–2 შესახვევი, კორპუსი 2ა - შიდა წყალკანალიზაცია.
- გუმათჰესის 17- კარის მონტაჟი.
- გუმათჰესის 17 – კარის მონტაჟი.
- გუმათჰესის 17- შიდა წყალკანალიზაცია.
- ხმელნიცკის მე–3 შესახვევი, კორპუსი 2 – შიდა წყალკანალიზაცია.
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი 11 - ბრტყელი სახურავი.
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი 11 - შიდა წყალკანალიზაცია.
- მოსკოვის გამზირი 36ვ - სადარბაზოს რემონტი.

მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობის რაიონის აღმასრულებელ ორგანოსთან, მუნიციპალურ გამგეობასთან მჭიდრო კოორდინაციის შედეგად საკმაოდ ბევრი პროექტი იქნა ბოლომდე მიყვანილი. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ დარჩენილია უბნები, სადაც თანმიმდევრულად ბევრი ინფრასტრუქტურული პრობლემებია მოსაგვარებელი, მოსახლეობას აწუხებს და დასაძლევია სიღარიბე, სოციალური ფონი და უმუშევრობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრი ქეთევან მამულაშვილი და მისი წარმომადგენლობა კვლავ აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად.